საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2011 წლის 6 მაისის
დადგენილება № 451

სტუ-ს არქიტექტურის, ურბანისტიკისა და
დიზაინის ფაკულტეტის არქიტექტურული
გეგმარების მიმართულების ხელმძღვანელის
პროფ. ვ. დავითაიას წერილის შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. სტუ-ს სასწავლო პროცესში დანერგილი ავტომატიზაციის საშუალებების: „პედაგოგთა რეგისტრაციის სისტემის“, „სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ელექტრონული სისტემის“ და კომპიუტერული ტესტირების სისტემის“ გამოყენებით მიღებული პირველადი შედეგები შეფასდეს დადებითად;
2. პედაგოგთა რეგისტრაციის სისტემის ექსპლუატაციის პრაქტიკიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია დაიხვეწოს და გაუმჯობესდეს ამ სისტემის გამოყენების მოხერხებულობა, კერძოდ, გაიზარდოს სარეგისტრაციო აპარატურის რაოდენობა და რეგისტრაციათაშორისი დროის ინტერვალი;
3. დაევალოს “სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემების უზრუნველყოფის ჯგუფს” ახალი სასწავლო წლის დაწყებისათვის უზრუნველყოს შესაბამისი კორექტივების შეტანა სისტემის ფუნქციონირებაში მისი გამოყენების გამარტივების მიზნით და შესაბამისი წინადადებები წარმოადგინოს აკადემიურ საბჭოში.

sაკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე